პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

28 მაისი, 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილება(www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250020.35.123.016411).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ.ამბროლაძე
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის სპეციალისტი

ბ.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო
განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ, დათქმა: „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“, შეიცვალა დათქმით: „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობით“. ცვლილება შევიდა აგრეთვე, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში და მას ეწოდა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის დებულებებში ჩამოყალიბებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საკითხები და მთლიანად ამოღებულია დათქმა გენდერული თანასწორობის შესახებ.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანი:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული იქნება მხოლოდ პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

3. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. დადგენილების პროექტის ავტორები:

დადგენილების პროექტის შედგენაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სპეციალისტი, მარიამ ამბროლაძე და საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

5. **დადგენილების პროექტის წარმდგენი საკრებულოს სხდომაზე:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

მ.ამბროლაძე
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
სპეციალისტი

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო
განყოფილების უფროსი